



„კონსტანტინეპოლის მხრიდან მართლმადიდებელ ეკლესიაში პაპისტური მმართველობის შეტანის მცდელობამ მსოფლიო მართლმადიდებლობა განხეთქილებამდე მიიყვანა“



„კონსტანტინეპოლის მხრიდან მართლმადიდებელ ეკლესიაში პაპისტური მმართველობის შეტანის მცდელობამ მსოფლიო მართლმადიდებლობა განხეთქილებამდე მიიყვანა“

კონსტანტინეპოლის საპატრიარქოს წარმომადგენელთა მხრიდან სულ უფრო დაუჩინებლად გააღებულნი არსებობენ მართლმადიდებელი ეკლესიისა და კათოლიკური ეკლესიის მკვეთრი „დაახლოებისა“ და მალე მათი შესაძლო გაერთიანების შესახებ, გვაიძულებს განსაკუთრებული ყურადღება მივაქციოთ მართლმადიდებლურ-კათოლიკური დიალოგის შინაარსს უკანასკნელი ათწლეულების მანძილზე და იმ საკითხებს, რომლებიც ჰყოფენ მართლმადიდებლებსა და კათოლიკებს.

შეეხო რა ამ თემას ტელეგადაცემაში „ეკლესია და მსოფლიო“, მოსკოვის საპატრიარქოს საგარეო საეკლესიო კავშირების განყოფილების თავმჯდომარემ, ვოლოკოლამსკის მიტროპოლიტმა ილარიონმა დოგმატური ხასიათის საკითხებს შორის ახსენა, კერძოდ, საკითხები სული წმიდის გამომავლობისა და ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის თაყვანისცემის შესახებ, „რომელიც ორივე ტრადიციაში განდიდებულია, თუმცა სხვადასხვაგვარად“.

როგორც მეუფემ აღნიშნა, მთავარ განმყოფელ საკითხად რჩება ეკლესიაში პაპის ძალაუფლების საკითხი: „ჩვენ არ შეგვიძლია მივიღოთ საეკლესიო მონყობის ისეთი მოდელი, სადაც ერთი ადამიანი იქნება უცოდველად მიჩნეული და რომელსაც ძალაუფლება ექნება ყველა საეკლესიო კრებაზე. ჩვენ ვსაუბრობთ იმაზე, რომ ეკლესია არის კრებისითი და სამოციქულო. კრებისობის ქვეშ ჩვენ გვესმის ის, რასაც საერო ენაზე შეგვეძლო გვეწოდებინა ეკლესიის კოლექტიური გონიერება: ჩვენთან, თითოეულ ადგილობრივ ეკლესიაში, პატრიარქი სამღვდელთმთავრო კრების წინაშეა ანგარიშვალდებული, და არა – სამღვდელთმთავრო კრება პატრიარქის წინაშე.“

არის კიდევ სხვა მრავალი განმყოფელი მომენტი, რომლებიც დაგროვდა მართლმადიდებლებისა და კათოლიკების განყოფილი არსებობის თითქმის ათასწლოვან ისტორიაში, – აღნიშნა სსკგ-ს თავმჯდომარემ.

„საჭიროა ძალიან ფხიზლად შევაფასოთ უთანხმოება, და ჩვენ მზად ვართ ისინი განვიხილოთ მართლმადიდებლურ-კათოლიკური დიალოგის ჩარჩოში, მაგრამ არა ისეთ დიალოგში, რომელიც სინამდვილეში მანიპულაციად იქცევა“ – ბრძანა მიტროპოლიტმა ილარიონმა, გაკეთა რა კონსტატაცია: „ის, რითაც კონსტანტინეპოლი დაკავებული იყო მართლმადიდებლურ-კათოლიკური დიალოგის უკანასკნელ წლებში, ეს იყო ადგილობრივი მართლმადიდებელი ეკლესიების მანიპულირების მცდელობა იმ მიზნით, რომ მათ მიეღოთ ისეთი მოდელი, რომლის შემთხვევაშიც კონსტანტინეპოლის პატრიარქი მიიღებდა რაღაც განსაკუთრებულ პაპისტურ პრივილეგიებს“.

„ჩემი თვალთახედვით, პოლიტიკა, რომელსაც კონსტანტინეპოლი აწარმოებდა ამ დიალოგში, მიმართული იყო არა იქითკენ, რომ მიეღნია მართლმადიდებელთა და კათოლიკეთა გაერთიანებისთვის, არამედ – დაესესებინა კათოლიკური მოდელი და ისეთივე შეექმნა მართლმადიდებელ ეკლესიაში, – აღნიშნა სსკგ-ს თავმჯდომარემ. – სხვა სიტყვებით, ჩვენთანაც რომ გამოჩენილიყო მავანი უცოდველი „პაპი“, რომელიც ერთპიროვნულ გადაწყვეტილებებს მიიღებდა, ჩვენ კი ყველანი ვალდებული ვიქნებოდით მას დავმორჩილებოდით. ჩვენს მართლმადიდებელ ეკლესიაში, მადლობა ღმერთს, ასეთი რამ არასდროს ყოფილა და, ვფიქრობ, არც არასოდეს იქნება“.

როგორც ვოლოკოლამსკის მიტროპოლიტმა ილარიონმა აღნიშნა, „კონსტანტინეპოლის ამ მახინჯმა პოლიტიკამ, პაპისტური მიმართულება შეექანა მართლმადიდებელ ეკლესიაში, უკვე მიიყვანა განხეთქილებამდე მსოფლიო მართლმადიდებლობა“.

წყარო: <https://mospat.ru/ge/news/87531/>